

K 42.194  
20v

ისრა გათივაშვილი



უნიკალური ვაზი  
საქართველოში

14061 010123030



# უნიკალური ეპი საქართველოში

K 42.194  
2 OU



სამომხმარელოს „საგარეო საქართველო“

თბილისი, 1973



634 . 8 (C41)  
634 . 8 (47 . 922)  
δ 156

0445—101  
M ————— 301—73  
M 601 (8) — 73

ნაშრომში ოღწერილია მაღლარი ვენახის ძირითა-  
დი ფორმები. განხილულია ვაზის ზრდისა და მოსავ-  
ლიანობის ჯიშური თავისებურებანი და უმთავრესი  
აგროტექნიკური ონბისძიებანი, რომლის განხორციე-  
ლება ხელს შეუწყობს ყურძნის მოსავლის შემდგომ  
გადიდებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

Матиашвили Азира Давидович

Уникальные кусты винограда в Грузии

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1973

## ვაჭის კულტურა საშარო ველოზი

ჩვენი მრავალფეროვანი ფლორის მშვენება და სიამაყე — ვაზი, ოდითგანვე იყო ქართველი კაცის განუყრელი მეგობარი. ვაზმა და ქართველმა კაცმა საუკუნეების მანძილზე ერთად სწირს ცხოვრების მძიმე ჭაპანი.

ქართველი კაცის მაღლიანმა მარჯვენამ ბევრჯერ განაახლა ამ სათაყვანებელი მცენარის სიცოცხლე და სამუდამოდ დაამ-კვიდრა იგი ქართულ მიწაზე. ქართველმა მეურნემ თავიდანვე განსაკუთრებით შეიყვარა და შეისისხლხორცა ვაზი, მას „შვი-ლიდარი“, ე. ი. შვილის დარი უწოდა. ხალხური გადმოცე-მით, ძელად ქართველი ვაზსა და ვენახს შვილივით იფი-ცავდა.

იმდროინდელი სოციალური ვითარების მიუხედავად, სა-ქართველო კულტურული მევენახეობისა და მაღალხარისხოვა-ნი ღვინის წარმოების დიდი ტრადიციების ქვეყანა გახდა. ვა-ზის მოვლისა და ღვინის დაყენების მრავალი ორიგინალური მეთოდი ჩვენი წინაპრების მერ შემუშავდა და შემდგომში სხვა ქვეყნებში იქნა გადატანილი. კახური წესით ღვინის დაყენე-ბის ტექნოლოგიური სქემა საერთო მოწონებას იმსახუ-რებს.

კულტურული მევენახეობის ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვე-



ნებელს აბორიგენული, ანუ ადგილობრივი წარმოშობის კულტურული ძის სიმრავლე და მათი პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები წარმოადგენს. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ამ მხრივ ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში. ბევრი რამის მთქმელია ხუთასამდე აბორიგენული ჯიშის არსებობა.

ერთი რომელიმე მათგანის წარმოშობის ისტორიას თუ შევისწავლით, მაშინვე ნათელი გახდება, რამდენი შრომა აქვს გაწეული ადამიანს თითოეული ჯიშის გამოსაყვანად, შემდგომში კი მის შესანარჩუნებლად და გასავრცელებლად.

რეაწითელი, საფერავი, მწვანე, ცოლიკოური, ჩხავერი, რჯალეში, ალექსანდროული, ხევარლული, ხიხვი, ბუღეშური, თითა, ალადასტური, ჩინური, თავკვერი, უსახელოური, კრახუნა და სხვა შექმნილია ხალხური სელექციის გზით, ბუნებრივი და ხელოვნური შერჩევის მეთოდების გონივრული გამოყენებით.

საქართველოს აბორიგენული ჯიშების ერთ-ერთი თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ბევრი მათგანი ენდემური ბუნებისაა, ე. ი. მხოლოდ გარკვეული ადგილისათვის, მხარისათვისაა დამახასიათებელი და სწორედ ამ მიკრორაინზი ამჟღავნებს იგი თავის საუკეთესო თვისებებს როგორც ზრდა-განვითარების, ისე პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ლეჩხუმური ჯიში უსახელოური. იგი ცაგერის რაიონის ზუბი-ოყრეშის მიკროუბანშია გავრცელებული, კერძოდ კი, მდინარე ცხენისწყლის ხეობაში მდებარე ხუთი სოფლით იფარვლება ჯიშის გავრცელების არეალი. ოყურეში, ოფიტარა, ზუბი, ისუნდარი და მახურა, ამ სოფლების გარდა, ცალკე ნარგაობის



სახით თითქმის არსად არ გვხვდება მაღალხარისხოვანები ნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინის მომცემი ვაზის უსახელოური.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მევენახეობამ განვითარების ყველა საფეხური განვლო. წერილობითი წყაროების უქონლობა საშუალებას არ იძლევა სრული წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ ძველად როგორი წესები იყო გამეფებული მევენახეობაში. მაგრამ უნდა ვიგარაუდოთ, რომ ხალხში გავრცელებული ვაზის კულტურის წარმოების წესები ძველთაგანვე საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა.

აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი ჰავის ბუნებრივ პირობებში უფრო მასიურად დაბლარმა ვენახმა მოიკიდა ფეხი, ხოლო დასავლეთის ჭარბტენიან რაიონებში მაღლარის ფორმები დამკვიდრდა. ამასთან ერთად, შეიქმნა მათ შორის რამდენიმე გარდამავალი ფორმა.

მევენახეობის განვითარებას დიდი ზიანი მიაყენა სოქოვანი ავადმყოფობებისა და მავნებლების გავრცელებამ. XIX საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან ჯერ ნაცარი შემოიჭრა ჩვენში, ხოლო 1881.—1883 წწ. ფეხი მოიკიდა ახალმა სენმა მილიოუმ. ამას ზედ მოჰყვა ვაზის ყველაზე საშინელი მტრის ფილოქსერის შემოსევა, რომელმაც მუსრი გაავლო ვენახებსა და დაღუპვის კარამდე მიიყვანა. ყოველივე ამან საგრძნობლად შეამცირა ვენახების ფართობი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ხელმეორედ დაიბადა ეს უძველესი დარგი. ძველად გამეფებული ვაზის მამაპაპური საყრდენი ხარდანი და ჭიგო რკინა-ბეტონის ბოძებზე გადაჭიმულმა ზვრებმა შეც-



ვალა. ამაღლდა ყურძნის საჰექტარო მოსავალი და გაუმჯობესებული და პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

გაფართოვდა ვაზის სანერგე მეურნეობა და გაღიღდა პირ-ველხარისხოვანი ნაყენები ნერგის გამოსავლიანობა. გაუმჯობესდა ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის სადელების მოვლა. შეიცვალა მრძველებული კვების არე და დატვირთვა — ფორმირების წესი. ძირითადი საწარმოო ჭიშებისათვის დაზუსტებულია აგროლონისძიებანი მიკრორაიონის კლიმატური და ნიადაგური პირობებისათვის.

## ვაზის სიცოცხლის ხანგრძლივობა და მსხაოიარობა

დიდი აგებულების გადაბერებულ ვაზზე მცირე ცნობები არსებობს ლიტერატურაში. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე, სულ რამდენიმე გოლიათი ვაზია აღწერილი.

აღსანიშნავია, რომ ვაზის სიცოცხლის ხანგრძლივობის, მისი ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობის საკითხების შესწავლით ბუნებისმეტყველები უძველესი დროიდანვე ყოფილან დაინტერესებულნი. სტრაბონს თავის „გეოგრაფიაში“ მოხსენებული აქვს ვაზი, რომელსაც ისეთი მსხვილი შტამბი ჰქონია, რომ ორი კაცი ვერ შემოაწვდენდა ხელს.

ჩინეთში ქ. ლიოანის მიღამოები განსაკუთრებული სიდიდის ვაზით ყოფილა დაფარული; ისეთი ლამაზი სანახავი ყოფილა, რომ იმპერატორი პირადად ნახულობდა მათ სიმწიფის პერიოდში. დღესაც ბევრგან გვხვდება ჩინეთში 200 წელზე მეტი წნის უხვადმსხმოიარე ვაზი.

ამჟამად არსებული გადაბერებული ვაზის კოლექციიდან

აღსანიშნავია სამხრეთ ბულგარეთის ქ. პაზარჯიკში არსებული  
300 წლის გოლიათი. ბუნების ეს საოცრება 1964 წელს გაფიქტურდა  
ხულეთ. შევაგროვეთ მასალები და საქართველოში დაბრუნე-  
ბის შემდეგ დავწერეთ სტატია, რომელიც გამოქვეყნდა ურ-  
ნალ „პრიროდასა“ და „საქართველოს ბუნებაში“. მის დეტა-  
ლურ აღწერილობაზე აქ არ შევჩერდებით.

საყურადღებოა აგრეთვე პროფ. ა. ნეგრულისა და სხვა  
მკვლევარების მიერ მოტანილი ცნობები გოლიათი ვაზის შესა-  
ხებ. კალიფორნიაში ცნობილია 170 წლის ვაზი, რომლის შტამ-  
ბის გარშემოწერილობა 210 სმ შეადგენს, ტოტები 0,5 ჰა ფარ-  
თობზეა განლაგებული და 100 ც ყურძენი იქრიფება მასზე.

ა. უინკლერის წიგნში — „მევენახეობა ამერიკაში“ ორი  
უდიდესი ვაზია აღნიშნული. ერთ მათგანს 1080 კვადრატული  
მეტრი ფართობი უკავია. 65 წლის ასაკში მასზე 4,5 ტონა  
ყურძენი მოიკრიფა.

მეორე გიგანტი კი დარგული ყოფილა 1842 წ. მისმა მოსა-  
ვალმა 1893 წლისათვის 8 ტონას მიაღწია. 52 წლის ასაკში ვა-  
ზის შტამბის გარშემოწერილობა 2 მეტრსა და 75 სმ შეადგენ-  
და.

იტალიურ უურნალში — „რივისტა“ პროფ. ი. კოსმოს მი-  
ერ წარმოდგენილია ვაზის ფოტოსურათი, რომელიც დაახლო-  
ებით 150 წლისაა და მისი შტამბის გარშემოწერილობა, ნია-  
დაგის ზედაპირიდან 40 სმ სიმაღლეზე, შეადგენს 165 სმ, ხო-  
ლო პირველადი განტოტვის ადგილას — 173 სმ. უკავია 144  
კვადრატული მეტრი ფართობი და წელიწადში 20 ცენტნერ  
ყურძენს იძლევა.

ვაზის ზრდა-განვითარების სიძლიერე მრავალ ფაქტორზეა  
დამოკიდებული. აღზრდის სისტემასა და მოვლა-პატრონობას-



თან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგსა და ეკოლოგიური ურ პირობებს. ჩვენი ქვეყნის თბილი ზომიერი ჰავა და ნაფარგლური ნიადაგი საუკეთესო პირობას ქმნიდა იმისათვის, რომ ქართულ მიწაზე გიგანტ ვაზს გაეხარა. ვაზის კულტურას საქართველოში უძველესი ისტორია აქვს და უნდა ვივარაულოთ, რომ ძველად ასეთი გოლიათი ვაზი ბლომად იყო გავრცელებული. ამის შესახებ სათანადო წერილობითი ცნობები და ხალხური გადმოცემები არსებობს. სამწუხაროდ, ბევრმა მათგანმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე 30-ზე მეტი ასეთი უნიკალური ვაზია ჩვენს მიერ აღრიცხვაზე აყვანილი. ყველა მათგანის დეტალური შესწავლა ძნელია და ზოგიერთი მათგანის ასაკის განსაზღვრაც შეუძლებელი ხდება, რის გამო ვერც მოსავალზე იტყვი რაიმეს და ვერც მის ისტორიაზე.

ჩვენ მიერ მიგნებული სანიმუშო სიღილის ვაზიდან ზრდის სიძლიერით ყველასაგან გამოირჩევა „ჭანდრის გიგანტი“.

ძნელად მოინახება ვაზი, რომლის შესახებ ასე საგანგებოდ იყოს შემონახული ყოველგვარი ცნობა დარგვის პირველი წლიდან დღემდე. 32 წლის მონაცემები არსებობს მის მოსავლიანობაზე. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში კი აღირიცხება ანასხლავის წონა, დატოვებული სამამულე და სანაყოფერების რაოდენობა და განვითარებულ მტევანთა რიცხვი.

## ჭანდრის გიგანტი

ვაზის ჯიში თეთრი ოვალური ქიშმიში მეტად საინტერესოა როგორც ბიოლოგიური თავისებურებით, ისე სამეურნეო მაჩვენებლებითა და წარმოშობის ისტორიით. სხვა ჯიშებისაგან



განსხვავებით იგი წიპტის არ ივითარებს; სწორედ ამ თვეში ბასთანაა დაქავშირებული საქართველოში გავრცელებული სახელები — უკურქო და უწიპტო.

ქიშმიშის ჯგუფში შემავალი უკურქო ყურძნის ჯიშებიდან აღსანიშნავია თეთრი ოვალური, ყვითელი ოვალური, მარმარილოსებური, შავი, ვარდისფერი და სხვ. მკვლევართა აზრით, ყველა ეს ჯიში წარმოშობილი უნდა იყოს თეთრი ოვალური ქიშმიშისაგან სპონტანური მუტაციის გზით, ვეგეტაციური ცვლილებების შედეგად, რაღვანაც მას სქესობრივი გამრავლების უნარი არ გააჩნია წიპტების განუვითარებლობის გამო.

აღსანიშნავია, რომ უკურქო ჯიშების კულტურა ცნობილია უძველესი დროიდან. მათ შესახებ ცნობები მოტანილია არისტოტელეს შრომებში. გრუმგრიუმიალო ლიტერატურული წყაროების საფუძველზე მიუთითებს, რომ უკურქო, ანუ უწიპტო ყურძნი ჩინეთში ცნობილია ძველთაგანვე, მის შესახებ ცნობები გვხვდება 127 წლიდან ძვ. წ. აღრიცხვით.

თეთრი ოვალური ქიშმიშის სამშობლო, რომლისგანაც შემდგომში წარმოიშვა დანარჩენი უკურქო ჯიშები, ზუსტად არაა დაღვენილი. ზოგიერთი მგვლევარი მის თავდაპირველ სამშობლოდ ირანს, კერძოდ კი ქალაქ სულთანს მიიჩნევს; ბოტანიკოსთა ნაწილი შუა აზიასა და სომხეთს ასახელებს მისი წარმოშობის პირველ კერად. პროფესორ ა. ნეგრულის ეკოლოგიურ-გეოგრაფიული კლასიფიკაციის მიხედვით, თეთრი ოვალური ქიშმიში თავისი მორფოლოგიური ნიშნებითა და ბიოლოგიური თვისებებით აღმოსავლეთის წარმოშობის კერას მიეკუთვნება, კერძოდ, სასუფრე ყურძნის მომცემ ვაზის ჯიშთა ჯგუფს.



ჭიშის ბიოლოგიური თვისებებიდან აღსანიშნავია უფარცის ზრდის სიძლიერე. იგი ივითარებს მძლავრ და გრძელ ყლორტებს. კარგად ეგუება დიდი აგებულების ფორმებს და დატვირთვას. მაღალ შტამპზე დაყენებული ხეივნები ფართობის ერთეულზე უხვ მოსავალს იძლევა. მტევნის საშუალო წონა 200 — 250 გრამს შეადგენს, იშვიათ შემთხვევაში კი ორ კილოგრამს აღემატება.

თეთრი ოვალური ქიშმიშის მსხმოიარობის ერთ-ერთი ბიოლოგიური თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ იგი დიდი რაოდენობით ივითარებს მსხმოიარე ნამხრევებს და ძირითადი კვირტი ხელოვნურად გამოწვევის შემთხვევებაში მიმდინარე წელსვე იძლევა დამატებით მოსავალს. მტევნის ყუნწი 3,0 — 3,5 სმ უდრის, ადვილად ემტვრევა. ჭიში საშუალო სიმწიფის პერიოდისაა. სხვა სამხრეთული ჭიშების მსგავსად რქის დიდი ნაწილი, ზოგჯერ 40—60 პროცენტი, • მოუმწიფებელი რჩება, საჭიროებს გრძელ სხვლას 10 — 14 კვირტზე, მსხმოიარობის კოეფიციენტი დაბალი აქვს — 0,5 — 0,8. ყინვაგამძლეობის უნარი — სუსტი. მინუს 16—17 გრადუსზე ტემპერატურის დაცემისას კვირტთან ერთად ლაფნის უჯრედებიც ზიანდება.

განსაკუთრებული სიდიდის უნიკალურ ვაზებს უარის „ჭანდრის გიგანტი“, როგორც მას გურჯაანში ეძახიან, თავისი გარეგნობით ერთი ჩინებული თალართავანია საქართველოში. ხეივნისადმი უბრალო თვალის გადავლებისას ნათელი ხდება, რომ მისი მეპატრონე გამოცდილი მევენახეა. ვაზს მართლაც რომ ეტყობა გამობრძმედილი მევენახის ხელი.

ალბათ ძნელად მოინახება ასეთი უხვმოსავლიანი, საოცარი სიძლიერის, ნახევარ საუკუნეს მიტანებული ვაზი, რომელიც

სოფელ ჭანდარში კოლმეურნე ზაქარია მანიუაშვილის უმცხოველე  
შია.

იგი საუკეთესო სანახავია წელიწადის ყოველ დროს, სავე-  
გეტაციო პერიოდში თუ მისი დამთავრების შემდეგ. შემოდ-  
გომის მიწურულში ოქროსფერი ფოთლებით დახუნძლული ვა-  
ზი ისე ლამაზად გამოიყურება, რომ აღამიანი თვალს ვერ მოა-  
ცილებს. მყუდრო გარემო პირობების გამო ხშირად ვაზის  
ფოთოლცვენა დეკემბრის პირველი რიცხვებიდან იწყება.

ვაზი დარგულია 1929 წელს და მისგან პირველი მოსავალი  
1937 წელს არის მიღებული. ეს გარემოება გამოწვეულია ვა-  
ზის ხშირი დაზიანების შედეგად. ამის გამო მერვე წელს ძლივს  
მოახერხა ზაქარიამ მისი შტამბის სიმაღლეზე დაყენება და  
საყრდენზე დაკავება. ასეთი წვალებითა და ვაივაგლახობით  
გაზრდილი ვაზისთვის ზედმეტსახელად „ობოლა“ უწო-  
დებია.

ამჟამად ვაზი 42 წლისაა. იგი დარგულია 1929 წლის გა-  
ზაფხულზე. თეთრი ოვალური ქიშმიშის ვაზის ჯიში დამყნი-  
ლია რუპესტრის დულოს ამერიკულ საძირეზე.

ქიშმიში ძლიერი ზრდის სახეივნე ჯიშია, რომელიც ხეივ-  
ნების სახით კახეთში ძველად ფართოდ ყოფილა გავრცელებუ-  
ლი. ახლაც გვხვდება მისი ხეივნები ალაზნის როგორც გაღმა,  
ისე გამოღმა მხარეს.

ხეივნის გაშენება რომ განუზრახავს ზაქარიას, კონსულტა-  
ციებისათვის ცნობილი ქართველი მევენახის ლევან: ჯორჯაძის  
ნათესავის, იმდროისათვის საკმაოდ განსწავლული აგრონომის  
გიგიშა ჯორჯაძისათვის მიუმართავს და მისი რჩევით მომხდა-  
რა ამერიკული საძირისა და სანამყენე კომპონენტების შერჩე-  
ვა.



ვაზის შტამბი, რომლის სიმაღლე ორი მეტრია, დაყენებულია ლია ვერტიკალურად. იგი სრულიად სალია. შტამბის განშემოყოფა წერილობა ნიადაგის ზედაპირთან შეადგენს 62 სმ, შუა ნაწილში — 52 სმ, ხოლო განტოტვის ადგილას — 63 სმ. განშტოებული სამი მძლავრად განვითარებული ტოტიც საყურადღებოა სიმსხოს მიხედვით. ერთი მათგანის გარშემოწერილობა 40 სმ უდრის, მეორესი — 32 სმ, ხოლო მესამესი — 33 სმ. ხეივნის ჰორიზონტალურად გადაშლილ ტოტებს 98 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია. აღრე თუ ხის ბოძები მის საყრდენად იყო გამოყენებული, ახლა რკინის მიღებზეა დამაგრებული.

უველაზე მნიშვნელოვანი მაინც ვაზის ზრდისა და მოსავლიანობის მაჩვენებლებია. არსებული მასალების მიხედვით ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ერთი ვაზის მოსავალი ყოველწლიურად აღრიცხულია 30 წლის განმავლობაში (ცხრილი 1).

#### ცხრილი № 1

„ჭანდრის გიგანტის“ მოსავლიანობა წლების მიხედვით  
(1938—1970 წწ.)

წელი	ყურძნის მოსავალი კგ	შენიშვნა	წელი	ყურძნის მოსავალი კგ	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1938	6,0		1955	400,0	დაისეტყვა 10%-ით
1939	11,0		1956	346,0	დაისეტყვა 15%-ით
1940	18,0		1957	306,0	დაისეტყვა 25%-ით
1941	31,0		1958	350,0	



1	2	3	4	5	6
1942	55,0		1959	460,0	
1943	86,0		1960	46,0	დაისეტყვა 90%-ით
1944	121,0		1961	315,0	
1945	136,0		1962	445,0	
1946	148,0		1963	285,0	
1947	168,0		1964	455,0	
1948	189,0		1965	527,0	
1949	236,0		1966	318,0	
1950	338,0		1967	429,0	დაისეტყვა 30%-ით
1951	210,0	დაისეტყვა 50%-ით	1968	418,0	დაისეტყვა 20%-ით
1952	145,0	დაისეტყვა 60%-ით	1969	65,0	დაისეტყვა 90%-ით
1953	261,0	დაისეტყვა 30%-ით	1970	558,0	
1954	341,0	დაისეტყვა 20%-ით	სულ	8223	

ოცდაცამეტი წლის მანძილზე ჩვა ათას კილოგრამზე მეტი ყურძენია მოკრეფილი ერთ ვაზზე. პირველ ცხრილში, მოტანილი ციფრობრივი მასალა გვიჩვენებს, რომ მცენარის ზრდა-განვითარებასთან ერთად ყურძნის მოსავალი საგრძნობლად მატულობს. ამ მხრივ საგულისხმოა 1938 — 1950 წლების მაჩვენებლები (ცხრილი 1). ი. ასეთ შედეგს იძლევა ვაზის მიმართულებითი აღზრდა, რომლის ბიოლოგიური არსი მცენარის კვების რეჟიმსა და ფორმირების სისტემაში უნდა ვეძიოთ.

შემდგომ წლებში ყურძნის მოსავლის შემცირება გამოწვეულია არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებით (სეტყვისაგან დაზიანება და მკაცრი გვალვიანი წლები). ასეთი



ხელისშემსლელი გარემო პირობები რომ არ ყოფილიყურ, გვი-  
ცილებით მეტი მოსავალი იქნებოდა მისგან მიღებულია კიონის

მიუხედავად ამისა, ყურძნის მოსავალი ვაზიდან, ათი წლის  
საშუალო მონაცემების მიხედვით, ასეთ სურათს იძლევა: 1940 — 1951 წლების საშუალო მოსავალი შეადგენს 138,7 კილოგრამს, 1951 — 1961 წლების — 289,1, ხოლო 1962 — 1970 წლების — 388,9 კილოგრამს.

პირველი ორი ათეული წლის მანძილზე თუ მხოლოდ ყურ-  
ძნის მოსავლის რაოდენობა აღირიცხებოდა, ახლა თითქმის  
ათი წელია რაც ვაზზე ვაწარმოებთ ზრდისა და მოსავლიანო-  
ბის ძირითადი ელემენტების აღირიცხვას.

ამასთან ერთად, ვაზუსტებთ ზოგიერთ აგროტექნიკურ ღო-  
ნისძიებას ვაზის ხეივნის წესით ფორმირებასთან დაკავშირე-  
ბით. ერთ შემთხვევაში ყურადღებას ვამახვილებთ მცენარის  
კვების პირობების გაუმჯობესებაზე ნიადაგის განვიერებით,  
ხშირი გაფხვიერებითა და რწყვის რეჟიმით, ხოლო მეორე  
მხრივ, მწვანე ნაწილების სივრცეში განლაგებისა და სასიმი-  
ლაციო ფართის რეგულირებით ვაუმჯობესებთ განათებისა და  
ჰაერაციის პირობებს.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებით აღირიცხე-  
ბოდა ვაზზე დატოვებული 2 — 3-კვირტიანი სამამულე და  
8 — 9-კვირტიანი სანაყოფე ჩქების რაოდენობა და მათზე  
განვითარებული მტევნები; იწონებოდა ანასხლავი და ყურძნის  
მოსავალი, ისაზღვრებოდა შაქრიანობა. ამ მონაცემების მი-  
ხედვით გამოანგარიშებულ იქნა მტევნის საშუალო წონა და  
მოსავლის და ანასხლავის წონის თანაფარდობა. 8 წლის მან-  
ძილზე წარმოებული ცდის შედეგები წარმოდგენილია მე-2  
ცხრილში.

ვაზის ხევინის („ჭანდრის გიგანტი“) ზრდისა და მოსავლიანობის უნიკალურობა  
მაჩვენებლები (1962—1970 წწ.)

წელი	მუნდის მო- სავალი კგ- ზონა (კგ)	მნასხლავის ზონა (კგ)	მნასხლავის ზონა (კგ)	მნასხლავის ზონა და მნასხლავის ზონა და მნასხლავის ზონა (კგ)	მნასხლავის ზონა და მნასხლავის ზონა (კგ)			
1962	445,0	—	—	—	—	15,0	—	—
1963	285,0	17,5	16	470	0,6	16,0	140	120
1964	455,0	21,4	21	645	0,7	16,6	141	110
1965	527,0	22,4	23	845	0,6	16,0	162	121
1966	318,0	22,8	14	—	—	15,5	120	105
1967	429,0	23,5	18	704	0,6	—	206	134
1968	418,0	23,4	17	641	0,7	—	224	126
1969	65,0	—	—	—	—	—	190	110
1970	558,0	15,8	35	721	0,8	18,0	160	75
საშ.	388,9	21,0	18	671,0	0,6	16,2	167,9	112,6

ვაზის მაქსიმალურმა მოსავალმა უკვე კარგა ხანია, რაც გა-  
დაჭარბა ნახევარ ტონას. მაგალითად, 1965 წელს მასზე მოიკ-  
რიფა 527 კგ ყურძენი, ხოლო 1970 წელს — 558 კგ. მოსავლის  
რაოდენობის ცვალებადობა წლების მიხედვით გამოწვეულია  
არახელსაყრელი გარემო პირობებით, მკაცრი გვალვებითა და  
სეტყვით.

ვაზის ათი წლის საშუალო მოსავალი 388,9 კგ შეაღენს,  
რაც ფართობის ერთეულზე გადაანგარიშებით საკმაოდ მაღალ

მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. ამჟამად ვაზს 98 კვ. მ. უფრო განვითარებული უკავია. ყურძნის საშუალო მოსავლიანობას თუ ნულ ფართზე გავყოფთ, მივიღებთ მოსავლის რაოდენობას ერთ კვადრატულ მეტრზე, რაც ამ შემთხვევაში 3,96 შეადგენს, ე. ი. ერთ კვადრატულ მეტრზე დაახლოებით 4,0 კგ ყურძენი მოდის.

დაბლარი ვენახის დროს ჰექტარზე 50 ცენტნერი მოსავლის მიღებისას 1 კვ. მ-ზე მოდის 0,5 კგ, ხოლო ჰექტარზე 100 ც-ის მიღებისას — ერთი კილოგრამი.

მოსავლის რაოდენობის მხრივ დაბლართან შედარებით ხეივნის უპირატესობა აშკარაა, რომელიც წარმატებით უნდა იქნეს გამოყენებული სუფრის ყურძნის მომცემ ძლიერი ზრდის ვაზის ჯიშებზე, ძირითადად საკარმილამო ნაკვეთებსა და საცხოვრებელი სახლის ეზოებში ან ვენახის განაპირა გზებზე.

ვაზის საერთო ძალის ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებელს ანასხლავის წონა წარმოადგენს. იგი დაკავშირებულია ვაზის ზრდის სიძლიერესა და მოსავლის რაოდენობაზე. მოსავლისა და ანასხლავის წონას შორის საუკეთესო თანაფარდობის დასადგენად ფრანგი მევენახების რავაზისა და ვიალას მიერ რეკომენდებულია ფორმულა:  $F:U=4:6$ . F არის ყურძნის მოსავლის რაოდენობა, ხოლო U — ანასხლავის წონა. ამ ფორმულის მიხედვით, ყურძნის მოსავალი ოთხჯერ ან ექვსჯერ უნდა აღემატებოდეს ანასხლავის წონას, ჯიშის ბიოლოგიური თვისებისა და აგროტექნიკური ღონისძიებების შესაბამისად. ამ ფორმულის გამოყენება მიზანშეწონილია დაბლარი ვენახის დროს.

ხეივნის წესით ვაზის ფორმირებისა და მიმართულებითი აღზრდის მეთოდების გამოყენებისას კი საკმაოდ მაღალ ციფ-

რებს ვღებულობთ. ამ შემთხვევაში მოსავლის მატებასთან თად ადგილი აქვს ანასხლავის ზრდას.

ათი წლის საშუალო მონაცემებით „ჭანდრის გიგანტის“ მოსავლიანობა 18-ჯერ აღემატება მის ანასხლავის წონას. წლების მიხედვით კი ეს მაჩვენებელი 16 — 22-ის ფარგლებში მერყეობს.

ყურძნის მოსავლისა და ანასხლავის წონას შორის სხვაობა შედარებით მცირე იქნებოდა, ვაზზე ყოველწლიურად საშუალოდ 168 სანაყოფე და 112 სამამულე რქა რომ არ რჩებოდეს.

მტევნის რაოდენობა ვაზზე საშუალოდ 671 ცალს შეადგნს, მისი საშუალო წონა კი 600 გ-ს. მტევნის საშუალო წონა წლების მიხედვით 600 — 800 გ ფარგლებს არ სცილდება, ზოგ შემთხვევაში 2—3 კილოგრამამდე აღწევს.

აღსანიშნავია, რომ შედარებით ასეთი მაღალი მოსავლის მიღებისას ყურძნის წვენის შაქრიანობა საშუალოდ 16,2%-ს შეადგნს, რაც სრულიად დამაკმაყოფილებელია სუფრის ყურძნის კონდიციური მაჩვენებლისათვის.

ვაზის მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებებიდან აღსანიშნავია ნიადაგის დამუშავება, მისი გაფხვიერებისა და განოყიერების ხერხები, სხვლის წესი, მწვანე ნაწილების ოპერაციები და სხვ.

ჭანდრის ნიადაგი კარგი ფიზიკური თვისებებით ხასიათდება. ვაზის ფესვთა სისტემის არეში განვითარებულია მსხვილი კოშტოვან-მარცვლოვანი სტრუქტურა.

შტამბის ირგვლივ მყოფი 15 კვადრატული მეტრი ფართობი დამუშავების ქვეშაა, რომლის გაფხვიერება ძირითადად თოხით წარმოებს, ხოლო განოყიერება ნაკელით. ამრიგად, ნიადაგის დამუშავების ასეთმა წესმა დადებითი გავლენა იქონია

მისი ფიზიკური თვისებების გაუმჯობესებაზე. ვეგეტაციის ჟე-  
რიოდში ნიადაგის გაფხვიერება წარმოებს 5 — 6-ჯერ, უძლილო  
2 — 3 წელიწადში ერთხელ შემოდგომით იბარება 18 — 20  
სმ სილრმეზე.

ორგანული სასუქებით ნიადაგის განვითარება ყოველ-  
წლიურად ტარდება, მხოლოდ მცირე ღოზით — 60 — 80 კგ  
ნაკელი მთელი წლის განმავლობაში.

ცნობილია, რომ მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარება  
საკვებ ნივთიერებებთან ერთად ბევრად დამოკიდებულია ნია-  
დაგში ტენის რაოდენობისა და მის ფორმებზე. ამ შემთხვევაში  
ეს ზე წყლის ნაკლებობას განიცდის და ხელოვნურ ჩრდილოს სა-  
ჭიროებს, რაც აუცილებელია ხანგრძლივი გვალვების დროს.

გაფხვიერებული ნიადაგის ზედაფენაში ვაზმა დიდი რაო-  
დენობით განვითარა ფუნჯა ფესვები; შემცირდა ყურძნის  
ჭრის შეთვალების პერიოდში, რომელიც ხშირად ნიადაგის  
ტენის ნაკლებობასთანაა დაკავშირებული, და გაძლიერდა ვა-  
ზის სავეგეტაციო ძალა.

ხეივნის გასხვლა უფრო მეტ დაკირვებას მოითხოვს, ვიდ-  
რე დაბალშტამბიანი ფორმები. ამ შემთხვევაში მძლავრად გან-  
ვითარებულ ჰორიზონტალურ ტოტებზე კარგად არის ჩამოყა-  
ლიბებული სასხლავი, რომელზედაც ყოველწლიურად ხდება  
შერჩევა და განვითარების სიძლიერის მიხედვით დატოვება  
8 — 9, ან 5 — 6-კვირტიანი სანაყოფე და 2 — 3-კვირტიანი  
სამამულე რქის.

საგულისხმოა, რომ მძლავრად განვითარებული რქის სანა-  
ყოფის სიგრძე 8 — 9-კვირტიანია, ხოლო შედარებით სუს-  
ტის — 5 — 6-კვირტიანი. გარდა ამისა, სამამულისა და სანა-  
ყოფის რაოდენობა მათი მდებარეობისა და წინა წლის მდგო-

მარეობის მიხედვით საგრძნობლად ცვალებადობს (ცხრილი 2). 

ვაზი ისხვლება აღრე გაზაფხულზე.

სანაყოფე რქების საყრდენზე დამაგრება, ანუ შეყელვა წინ უსტრებს კვირტების დაბერვას.

ყვავილობის დაწყებამდე რამდენიმე დღით აღრე ვაზი იფურჩქნება, ეცლება სუსტად განვითარებული ყლორტები და მტევნის ქვემოთ მდებარე პირველი 3—4 ფოთოლი, რითაც თითოეული ორგანოსათვის უკეთესი პირობები იქმნება პარაციისა და განათებისათვის.

ცის გახსნა და ყლორტების წვერის წაწყვეტა საერთოდ არ ტარდება ზემოთაღწერილი ვაზის ხეივანზე. 1965 წელს საცდელად ჩატარდა ცის გახსნა ვაზის ერთ მესამედ ნაწილზე, რამაც უარყოფითი შედეგი გამოიღო.

თითოეული ყლორტისა და მტევნის ფოთლის რაოდენობა და ფართი საგრძნობლად შემცირდა, ამის გამო სწორედ ამ ნაწილში ყურძენი დაჭკნა და რქის მოუმწიფებელმა ნაწილშიც მოიმატა. კარგად გამოვლინდა ცის გახსნის უარყოფითი გავლენა ვაზის ზრდასა და მოსავლიანობაზეც.

„ჭანდრის გიგანტის“ მოვლის მაგალითი შეიძლება განვაზოგადოთ ხეივნის გაშენების დროს, შესაბამის ნიაღაგურ და ეკოლოგიურ პირობებში.

## გოლიათი ზავთითა

საქართველოში გავრცელებულ სასუფრე ყურძნის ჭიშებიდან შავთითას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იგი ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით: სააბი, თავრიზული, შავი განჯური. შავთითა ზრდის სიძლიერით, მტევნის ფორ-

მით, ფერით, სიდიდითა და ორგანოლეპტიკური თვისებებით  
მიეკუთვნება მაღალხარისხოვან სუფრის ჭურძნის უფრისთვის  
ჯგუფს. ყურძნის შეთვალება იწყება აგვისტოს შუარიცხვები-  
დან, ხოლო სრულ სიმწიფეში შესვლა სექტემბრის პირველი  
დეკადიდან.

შავთითას ერთ-ერთი ბიოლოგიური თავისებურება იმაში  
გამოიხატება, რომ იგი მეტისმეტად ძლიერი ზრდა-განვითარე-  
ბით ხასიათდება. მოსავლიანობის გასაზრდელად ჯიშისთვის  
აუცილებელია დიდი აგებულების ფორმის მიცემა, გრძელი  
სხვლა და ძლიერი დატვირთვა. საკმაოდ ძლიერია ვაზის რო-  
გორც საერთო, ისე სავეგეტაციო ძალა.

ჩვენი პირობებისათვის შავთითას ზოგიერთი ბიოლოგიური  
თვისების დასაზუსტებლად ცდებს აწარმოებდა სოფლის მე-  
ურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი რ. რამიშვილი. მისი მო-  
ნაცემები გათვალისწინებულ იქნა ჯიშის ზოგადი თვისებების  
დახასიათების დროს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შავთითა საკმაოდ  
მძლავრი ზრდით ხასიათდება და თავისი ბიოლოგიური თვისე-  
ბების გამო ხეივნისა და ოლიხნარის ძლიერი დატვირთვის მა-  
ღალშტამბიან ფორმებს თხოულობს. დაბლარზე დაყენებისას  
კი კორდონსა და თავისუფალ ფორმაზე უკეთეს შედეგს იძ-  
ლევა.

ჯიშის ბიოლოგიურ თავისებურებას, კერძოდ, მისი ზრდის  
სიძლიერეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და იგი გათვალის-  
წინებული უნდა იქნეს ვენახის გაშენების დროს.

დაბლარზე დაყენებულ შავთითას და მის მსგავს ძლიერი  
ზრდის ჯიშებს შედარებით დიდი კვების არე უნდა მიეცეს,  
რათა ვაზი თავიდანვე მძლავრად განვითარდეს, რომ შესაძლე-



ბელი იყოს გრძლად სხვლის წარმოება და სხვა სახის აგრძელებული ნისძიებათა მაღალხარისხოვნად ჩატარება.

მოსავლიანობის მაჩვენებლების მიხედვით შავთითა მეტად განსაკუთრებული პიოლოგიური თავისებურებებით ხასიათდება. ვაზის მრავალწლიანი ნაწილებიდან განვითარებული ყლორტები მოსავალს არ იძლევა, უნაყოფო ყლორტებს დიდი რაოდენობით ივითარებს სანაყოფეც. მსხმოიარობის კოეფიციენტი დაბალია — 0,4 — 0,6 პროცენტს არ აღემატება; იგი საკმაოდ დიდი ზომის მტევნებს ივითარებს, ზოგიერთი მათგანი ხშირად 2 — 3 კგ აღწევს, რის გამო რქის პროდუქტიულობა იზრდება და ძლიერ მსხმოიარე ჯიშებს უტოლდება.

საერთოდ შავთითას ძლიერი ზრდა არ შეესაბამება მის მსხმოიარობას. ყველა ზემოაღნიშნული სპეციფიკური თვისება გათვალისწინებული უნდა იყოს მისი გავრცელების დროს.

აღმოსავლეთ საქართველოს პირობებისათვის იგი საუკეთესო სახეივნე ჯიშად ითვლება. სოკოვანი ავადმყოფობებისა და ფილოქსერისაღმი სუსტ გამძლეობას იჩენს, ამიტომ მისი გავრცელება უნდა წარმოებდეს ფილოქსერაგამძლე საძირეზე ღამინილი და დაფესვიანებული ნერგით.

შავთითა დიდი ჰაბიტუსის მცენარედ ვითარდება, რასაც კარგად შეესაბამება ხეივნისა და ტალავერის ფორმები. თავის უჩვეულო სიდიდეს იგი სწორედ ასეთი ფორმირების დროს აღწევს. ჩვენს ხელთ არსებული მრავალი საინტერესო ეგზემპლარიდან შევჩერდებით მხოლოდ ერთზე, რომელიც საინტერესოა თავისი ზრდა-განვითარებითა და მოსავლიანობით.

როგორც აღვნიშნეთ, დიდი აგებულების უნიკალური ვაზის შესწავლა საინტერესოა როგორც პიოლოგიური, ისე სამეურნეო თვალსაზრისით.



ამჟამად ზოგიერთი ჩვენი აბორიგენული ჯიში, სამუშავებული როდ, მხოლოდ ერთეული ძირების სახით და წარმოდგენილი და თუ დროულად არ იქნა იგი აღწერილი, მოსალოდნელია ისეთი ბედი ეწვიოს, როგორც ხევარდულს მოუვიდა.

ძველად ვაზის ჯიში ხევარდული ფართოდ ყოფილა გავრცელებული შავშეთ-კლარჯეთში. ამჟამად იგი საქართველოს ტერიტორიაზე აღარ სად გვხვდება; მეტად მცირე წერილობითი ცნობების მიხედვით იგი საკმაოდ მაღალი ღირსების სუფრის ყურძენს იძლეოდა. ნაყოფი ყოფილა ყვითელიც და თეთრიც. ჯიში ფრიად საინტერესოა აგრეთვე თავისი სახელწოდებით.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი ხევარდულს, ძელშავას, რქაწითელსა და ხემხუს უძველეს ვაზის ჯიშებად თვლის და სინაცვლის გამოთქვამს რომ ხევარდული, ნიკო მარის შრომებს გარდა, არსად არ არის აღწერილი.

საგარეჭოს ცენტრში, იოსებ მაკნტალაშვილის ეზოში, დგას დიდი მუხის ძირივით შტამბგამსხვილებული ვაზი გოლიათი შავთითა, რომელიც მეტად ძლიერი ზრდით ხასიათდება. ივითარებს საკმაოდ დიდი ზომის მტევნებს, რომელთა საშუალო წონა 700 — 800 გრამია. კვების განსაკუთრებული პირობების შემთხვევაში კი მათი წონა 2 — 3 კგ აღწევს.

ვაზი დარგულია 1938 წელს. ახლა იგი 35 წლისაა. ნიაღაგის ზედაპირთან ახლოს შტამბის გარშემოწერილობა 98 სანტიმეტრს შეადგენს, შუა ნაწილში — 76 სანტიმეტრს, ხოლო განტოტვის აღვილას — 68 სანტიმეტრს.

ხევნის პორიზონტალურად განვითარებული ტოტები 100 კვადრატულ მეტრზე მეტ ფართობს ფარავს. ზოგიერთი ტოტი ისეთი ძლიერი ზრდისაა, რომ მისი დიამეტრი შტამბის ნახევარს აღემატება. ფართობის ერთეულზე საოცრად დიდ მოსა-



ვალს იძლევა. მასზე ყოველწლიურად 500 — 600 კგ ყურძნები იკრიფება. ყველაზე ღიღი მოსავალი მიღებულია 1955 წელს, ამ წელს ერთ ძირ ვაზზე 700 კგ ყურძნენი მოიკრიფა.

ვაზზე ისხვლება ვაზაფხულზე; ყოველწლიურად მასზე სტოვებინ საკმაოდ დიდი რაოდენობის სანაყოფე და სამამულე რქებს. სამამულე 3 — 4-კვირტიანია, ხოლო სანაყოფე — 10 — 12-კვირტიანი. მწვანე ნაწილების ოპერაციების დროს ვაზს ეცლება უნაყოფო ყლორტების უმეტესი ნაწილი, როგორც წლიურ ნაზარდზე, ისე მრავალწლიან ტოტებზე.

გოლიათ შავთითას ასეთი მძლავრი განვითარება გამოწვეულია ნიადაგის კარგი ფიზიკური თვისებებითა და მაღალი ნაყოფიერებით. იგი დარგულია ალუვიურ, შავმიწა ნიადაგზე, რომელსაც დამატებული აქვს მდინარის ქვიშა და, რაც მთავარია, მთელი წლის განმავლობაში ვაზი უზრუნველყოფილია წყლით.

შავთითას ხეივანი კარგად არის უზრუნველყოფილი განათებით, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენს ნაყოფში შაქრების დაგროვებაზე. ვაზის ერთი ნაწილი მოკლებულია სრული განათების პირობებს, ჩრდილშია მოქცეული და ამ ზონაში განვითარებული მტევნები 20 — 25 დღით გვიან მწიფდება.

ვაზის საჰაერო ფესვების როლი მცენარის სასიცოცხლო პროცესების მსვლელობასთან დაკავშირებით საკმაოდ სუსტად არის შესწავლილი. ცნობილია, რომ მათ განვითარებას ხელს უწყობს ჰაერის მაღალი სინოტივე. ამის გამო იგი დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში უფრო ხშირად გვხვდება, ვიღრე აღმოსავლეთის მშრალი ჰაერის პირობებში. გოლიათი შავთითა დიდი რაოდენობით ივითარებს საჰაერო ფესვებს. სავარაუდოა, ვაზის საჰაერო ფესვების განვითარება



ჯიშურ თავისებურებასაც წარმოადგენს და დაკავშირებულია ქეივნის ფოთლების ქვემოთ მყოფი ტოტების ღაჩრდილვას და ჰაერის სინესტესთან.

## გადაგერებული ვაზი ბოდგეჭი

ვაზის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და თითოეული ძირი-დან ყურძნის მაქსიმალური მოსავლის მიღების უნარიანობის დასადგენად მრავალი ეგზემპლარი იქნა ჩვენს მიერ ადგილზე შემოწმებული და აღწერილი.

აღნიშნული ვაზებისაგან განსხვავებით, ზოგიერთ შემთხვევაში გაძნელებულია მისი ზუსტი ასაკის დადგენა. საქართველოში ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის შედეგად გამოიჩვა, რომ ბევრგან ყურძნის მოსავლის რაოდენობას არც კი აღრიცხავენ, არ იციან ასეთი ხანდაზმული მცენარის მოვლის წესები და, რაც მთავარია, ვაზის ზუსტი ასაკი.

სიღნალის რაიონში, სოფელ ქვემო ბოდბეში, ლადო აბულაშვილის ეზოში, საუკუნეს გადაცილებული, გიგანტური შტამბის, ამჟამად ადგილ-ადგილ დაფუტუროებული და კანზე ხავსმოკიდებული ვაზის ხეივანია.

რამდენიმე წლის წინათ მივაგენით იშვიათი სანახაობის ვაზს, მისი ასაკით დავინტერესდით. მისმა მომვლელმა 73 წლის ჭალარა კოლმეურნემ ლადო აბულაშვილმა გვითხრა, ვაზი 133 წლისაა. აი, როგორ იქნა გამოანგარიშებული ვაზის სიცოცხლის ხანგრძლივობა.

1922 წელს 100 წლის ასაკში გარდაიცვალა ლადოს მამა. შვილებისათვის მას ბევრჯერ მოუყოლია თავისი დიდებული ვაზის ისტორია. თურმე იგი 12 წლის ბიჭი იყო, როცა მისმა მამამ ტყეში წაიყვანა. ბავშვმა ვაზის რქა იპოვნა, წამოიღო და



თავიანთი სახლის გვერდით დარგო. ვაზმა იმავე წელს დამდენიმე წლის შემდეგ იშვიათ სანახაობად იქცა. ოჯახის წევრების მიერ წარმოდგენილი ციფრებითაც დადასტურდა რომ ვაზი 133 წლის იყო, როცა იგი პირველად აღვწერეთ (1967 წ.).

3—4 ათეული წლის წინათ ეს ვაზი რაღაც არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა. თავისი მსხმოიარობითა და სიდიდით აოცებდა მნახველს. თალარს სიგრძე 200 მეტრი ჰქონდა, ეზო, ორსართულიანი შენობა და მის უკან მდებარე ფერდა მთლიანად დაფარული ყოფილა ვაზის მსხვილი ტოტებით. ორი მეტრი სიმაღლის ღვიის ხის ბოძებზე მოწყობილი გორაკის ქვეშ თურმე 300 კაცის სუფრა იშლებოდა ვაზის ხეივნის ჩრდილში. ვაზზე ყურძნის კრეფა 2—3 დღეს გრძელდებოდა და 1950 წლამდე 10—12 გოდორზე ნაკლები ყურძნი არც ერთხელ არ მოკრეფილა. იქაური გოდორი საშუალოდ 150 კილოგრამს იწონის, ისე რომ, 10 გოდორი ყურძნი ტონაანახევარზე მეტია. ასეთი მოსავალი და ისიც ერთი საუკუნის ერთი ძირი ვაზიდან უდავოდ განსაცვითრებელია.

რამდენიმე ხნის წინათ მისთვის შეუჭრიათ მსხვილი ტოტები და მუხის მორივით გამსხვილებულ შტამბს (ძირს), რომლის გარშემოწერილობა ნიადაგის ზედაპირთან ერთი მეტრი და 17 სანტიმეტრია, სიდამპლე გასჩენია და დაფუტურობულა. ახლა ვაზს 130 კვადრატული მეტრი ფართობი მაინც უჭირავს და 2—3 გოდორი ყურძნი კიდევ იყრიფება მასზე.

ჯიშის საღაურობა და მისი წარმოშობა გაურკვეცელია. ქვემო ბოდბეში მას ტყის ვაზს ეძახიან.

ახლო მომავალში მებალეობის, მევენახეობისა და მეღვი-



ნეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს განზრახული განვითარების მოახდინოს ჯიშის ბოტანიკური ოღწერა, აგრობიოლოგიური და სამეცნიერო-ტექნიკური ნიშან-თვისებების შესწავლა, რის საფუძველზე დადგენილი იქნება ჯიშის სადაურობა და მისი წარმოშობა.

ყურძენი საადრეოა, აგვისტოს ბოლოსათვის სრულ ტექნიკურ სიმწიფეში შედის, ფერით წითელია, მტევანი მსხვილი — ზოგიერთის წონა ნახევარ კილოგრამს აღწევს. ნაყოფს ძირითად იყენებენ როგორც სუფრის ყურძენს, მაგრამ ღვინოც ბევრჯერ დაუყენებიათ მისგან. ღვინო სასიამოვნოა, სანამ მაჭარია, დაძველებაში კი გემოს კარგავს და საერთოდ დიდხანს არ ინახება.

ვაზის მოვლა უკეთესად რომ წარმართულიყო, მართლაც საოცარი სანახავი იქნებოდა ერთი საუკუნის ასაკში და განსაკუთრებით მის შემდეგ. არასახარბიერო მოვლამ და დიდი რაოდენობით მსხვილი ტოტების შეჭრამ მომაკვდინებლად იმოქმედა მის საერთო სიძლიერეზე. მიუხედავად ამისა, იგი განაგრძობს სიცოცხლეს და ყოველწლიურად 2—3 გოდორ ყურძენს მაინც იძლევა უკვე საუკუნე-ნახევარს მიტანებული.

### შართული თითა

მაღალი გემური თვისებების ადგილობრივი ვაზის ჯიში თითა ძველად ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოში. საუკუნე-ნახევარზე მეტი ასაკის გიგანტური ვაზი, რომელიც ქალაქ სიღნაღში არსებობდა, კიხური თითა აღმოჩნდა. ამ ჯგუფის ვაზის ჯიშების წარმოშობის ისტორია საერთოდ საინტერესოა.



ჯიშის გავრცელების არეალი ამჟამად მეტად შეზღუდული იყო, მაგრამ ნამდვილი კახური თითა ერთეული ძირების სახით ღვევდება ქველ საკოლმეურნეო და საკარმილამო ნაკვეთებზე. საცხოვრებელი სახლის ეზოებში კი აქა-იქ თაღარების სახითაა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში თითას საერთო სახელწოდებით გაიგივებულია მრავალი ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებელი ჯიში. მაგალითად, მესხეთში — თითა ყურძენი, კახეთში — თეთრი და შავი თითა, იმერეთში — თითა, ჭართლში — თითა და ატენის თითა, გურიაში — თითა ყურძენი, რაჭა-ლეჩხუმში — თითა, სამეგრელოში — დედოფლის კითი. გასაგებია, რომ ყველა მათგანისათვის ხალხს მარცვლის ფორმის მიხედვით შეურქმევია სახელი. სინამდვილეში კი საქმე გვაქვს ერთიმეორისაგან განსხვავებულ ჯიშებთან.

აკად. ივ. ჯავახიშვილს ადგილობრივი ვაზის ჯიშების კლასიფიკირისას გამოყოფილი აქვს ერთი ჯგუფი, რომელთა სახელწოდება დაკავშირებულია ყურძნის მარცვლის ფორმასა და მტევნის მორფოლოგიურ ნიშნებთან. ასეთებია: თავკვერი, გრძელმტევანა, აკიდო, ჭროდა, კვირისტავა, მხარგრძელი, უწყვეტი, ანუ ძნელად მოსაწყვეტი, კუნძა, კუმსი, ღონდღლაბი, ყუნწმაგარა, ხარისთვალა, ჩინური, ჩიტისთვალა და სხვ.

მარცვლისავე მოყვანილობის დამახასიათებელ ყურძნის ჯიშთა სახელების ჯგუფს — წერს ივ. ჯავახიშვილი — თითაც მიეკუთვნება, რომელიც საქართველოში იყო გავრცელებული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — კახეთსა და ქართლში, მისი ყვითელი, თეთრი და შავი სახესხვაობებიც არსებობს.

საგულისხმოა, რომ თითა ბუდეშურის სახელიც ყოფილა



კახეთში, რაც მისი მარცვლის მოყვანილობის აღმნიშვნელი უნდა იყოს, ხელზე მიგვითითებს და ნათელს ხდის თითას თავდაპირველ მნიშვნელობას.

საქართველოში გავრცელებულ ვაზის ჯიშების ამპელოგ-რაფიული შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ჩვენში თითას ორი ადგილობრივი წარმოშობის ჯიშია: ერთი კახური, ანუ ნამდვილი თითა, მეორე — თითა ქართლური. კახური თითა შესწავლილი და აღწერილია პროფ. დ. ტაბიძის მიერ, ხოლო თითა ქართლურის სრული ამპელოგრაფიული დახასიათება მოცემული აქვს პროფ. მ. რამიშვილს „საქართველოს ამპელოგრაფიაში“.

კახური თითას ბოტანიკური აღწერისას პროფ. დ. ტაბიძე აღნიშნავს, რომ ქართლის თითა შიშველფოთლიანია ან თხელი ჯაგრისებური შებუსუსება აქვს, ხოლო კახურს, ანუ ნამდვილ თითას საშუალო სისქის აბლაბულისებრი ბეჭვები და ჯაგრისებური ბუსუსები. ამ ნიშნების მიხედვით იგი ძალიან ახლოს დგას ქართულ აბორიგენულ ჯიშებთან, რითაც ვაზის ჯიშთა წარმოქმნის ალაზნის კერას უნდა მიეკუთვნოს.

თითა ქართლურის წარმოშობაზე კი პროფ. მ. რამიშვილი წერს: „საქართველოს ტერიტორიაზე თითას წარმოშობის შესახებ მასალა არ მოიპოვება. ჯიშის მორფოლოგიურ-ბიოლოგიური თვისებები მიგვითითებს, რომ იგი საქართველოს წიაღში ბუნებრივი გამრავლების გზით არის წარმოშობილი, ხოლო შემდგომ საუკუნეთა განმავლობაში ადამიანის უშუალო ჩარევით ჩამოყალიბებულა ცალკეულ მხარეთა ენდემურ ჯგუფებში დამოუკიდებელი ჯიშის სახით. ამის დამაღასტურებელია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ თითას ჯიშთა არაიდენტურობა“. კახური თითა მკვეთრად

განსხვავდება ქართლის თითასაგან, ქართლისა — რაჭაში გვიშო  
ცელებულ თითასაგან და ა. შ.

ამრიგად, ჩვენში არის ორი ადგილობრივი წარმოშობის ჯიში, ნამდვილი ანუ კახური თითა და თითა ქართლური, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან მთელი რიგი ამპელოგრაფიული და ბოტანიკური ნიშნებით. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ თითას წარმოშობის საკითხი შემდგომ შესწავლა-დაზუსტებას მოითხოვს.

სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კახური თითას აღდგენისა და გავრცელების საქმეს. იგი ადგილობრივი წარმოშობის სუფრის ყურძნის ვაზის ჯიშია და წარმატებით შეიძლება მისი გამოყენება საკარმიდამო ნაკვეთებზე ხეივნების გასაშენებლად. მით უმეტეს, რომ ძველად იგი ფართოდ ყოფილა გავრცელებული კახეთში ხეივნების სახით.

სიღნაღის რაიონის ცენტრში, იროდი ქოქიაშვილის ეზოში, 160 წელზე მეტი წელის უნიკალური ვაზი იდგა. პირველად იგი სპეციალისტებმა 1963 წელს ვინახულეთ. სექტემბრის თვეში ვაზზე 10 — 12 მტევანი კიდევ დამწიფებულიყო. ადგილობრივი მოსახლეობა მას „თითა“ ყურძენს ეძახდა და მართლაც იგი კახური თითა აღმოჩნდა.

ვაზის ადრინდელი ძლიერების აჩრდილიდა იყო შემორჩენილი, როდესაც იგი ვინახულეთ. ჭრილობებისაგან საშინალდ დასახიჩრებული და ღაყავრებული შტამბი მეტყველებდა, რომ ოდესალაც იგი მძლავრად განვითარებული გიგანტი ყოფილა. მისი გარშემოწერილობა ნიაღავის ზედაპირთან 92 სმ შეადგენდა, ხოლო 70 სმ სიმაღლეზე განშტოებული ღეროსი 82 სმ. 1965 წ. მისმა მეპატრონებმ იგი ფესვებიანად ამოგლიჭა და დაწვა.

სამწუხაროდ, ცოტა ცნობები შემოგვრჩა ვაზის ხეივანზე. ვაზის ისტორიიდან ბევრი რამ უკვე დავიწყებას მიეცა. მის მიეცა მოვლა-პატრონობა ჩემი მამა-პაპის ღროინდელი ამბავიაო, განაცხადა ი. ქოქიაშვილმა. ვაზის შესახებ მაინც გაიხსენა ზოგიერთი რამ. 20 — 25 წლის წინათ ვაზისათვის ნაჯახით შეუჭრიათ მსხვილი ტოტები და შეშად გამოუყენებიათ, აგრეთვე მისთვის ფოტოსურათი გადაუღიათ და მოსკოვში გაუგზავნიათ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. აი, ყველაფერი, რის შეგროვებაც შევძელით ამ ვეებერთელა ვაზზე, რომელიც საუკუნე-ნახევარზე მეტხანს ცოცხლობდა სიღნაღმი.

## გორულას ხეივანი ჟართულში

მეტად მრავალფეროვანი ვაზის ხეივნებით თითქმის ყველა საცხოვრებელი სახლის ეზოა დამშვენებული გორის რაიონის სოფელ შერთულში. აქ ნახავთ მეტად ორიგინალურ, ტერასების მსგავსად მოწყობილ სართულებიან ხეივნებს, ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სიბრტყეში მოხდენილად განლაგებული მრავალწლიანი ნაწილებით.

სოფელ შერთულში მცხოვრებ ალექსი გოხელაშვილის ეზოში ერთი მეტად განვითარებული ვაზი თავისი მოსავლიანობითა და სიმსხოთი გამოიჩინა. ზრდის სიძლიერითა და მსხმიარობით იგი ჩვენში არსებულ უნიკალურ ვაზებს მიეკუთვნება.

გორულა ადგილობრივი ჭარმოშობის თეთრყურძნიანი ჯიშია და ქართლის აბორიგენულ ჯგუფს ეკუთვნის. ვაზი ძლიერი ზრდა-განვითარებისა და მეტად პერსპექტიულია ხეივნების გასაშენებლად.

გორის რაიონში ცნობილია ორი სახის გორულა: გორულა

მწვანე და გორულა. პირველი საღვინე ჯიშია, ხოლო მეორე — სარისხოვან სუფრის ყურძენს იძლევა. ამ ორი ჯიშის ერთობლივა, ორისაგან განსასხვავებლად ადგილობრივი მცხოვრებლები საღვინე ჯიშს „მწვანე ვაზს“ უწოდებენ, ხოლო სასუფრეს — „გორულას“. გორულა მევენახეობის ზოგიერთ რაიონში „გლდანურას“ და „სუფრის გორულას“ სახელწოდებითაც არის ცნობილი.

ძველ ლიტერატურულ წყაროებში იგი „გორულის“ სახელწოდებით არის მოხსენებული. პროფ. ს. ჩოლოყაშვილს „გორულა“ აღწერილი აქვს „გლდანურას“ სახელით და იქვე მითითებულია სინონიმი — „გორულა“. დოკ. ნ. ჩახნაშვილს კი, პირიქით, საკავშირო ამპელოგრაფიაში ჯიშის ძირითადი სახელი „გორულა“ აქვს, სინონიმად — „გლდანურა“. პროფ. მ. რამიშვილის მიერ საქართველოს ამპელოგრაფიაში გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში ჯიშის ძირითადი სახელი „გორულა“ დარჩა, ხოლო სინონიმებად „გლდანურა“ და „სუფრის გორულა“.

ავად. ივ. ჯავახიშვილს გორულას აბორიგენული ჯიშის ძირითად პირობად მისი ადგილსამყოფელი მიაჩნია (გორი, აქედან „გორულა“) და ამის საფუძველზე „გორულას“ ქართლის ვაზის ჯიშთა წარმოშობის ჯგუფს აკუთვნებს.

გორულას წარმოშობის შესახებ წერილობითი ცნობები არ არსებობს. მკვლევართა აზრით, ეს ჯიში ბუნებრივი შერჩევის გზით უნდა იყოს წარმოშობილი, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე ეკოლუცია განუცდია და მასში შემუშავებულა ქართლის ეკოლოგიური პირობების შესაბამისი თვისებები, ხოლო შემდგომში ადამიანის ჩარევით იგი ქართლის ტერიტორიაზე დამოუკიდებელ ჯიშად ჩამოყალიბებულა.

გორულას დადებითი თვისებებიდან აღსანიშნავია მისი საკულტურული მაღალი იმუნური ბუნება. ფილოქსერისა და სოკონის დავადებების მიმართ ჯიში პრაქტიკულ გამძლეობას იჩინს. ამ ჯიშის საკუთარ ფესვებზე გაშენებული ძველი ვენახები დღესაც საუკეთესო ზრდა-განვითარებისა და მაღალ მოსავალს იძლევა. ჯიში გამძლეა ყინვებისაღმი და საერთოდ დიდ მოთხოვნილებას არ უყენებს გარემო პირობებს.

გორულა მაღალხარისხოვანი ღირსების სუფრის ყურძენს იძლევა. ხეივნის წესით აღზრდისა და სათანადო მოვლის პირობებში იგი უხემოსავლიანია. ყურძენი დიდხანს ინახება; მისი ქარვისფერი მტევნები, კარგი შენახვის ღროს, გაზაფხულმდე ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ გემურ თვისებებსა და მიმზიდველობას.

ვაზი ყურადღებას იძყრობს შტამბის სიღიღით, პორიზონტალურად განლაგებული მსხვილი ტოტებით, ზრდის სიძლიერით და მეტად მაღალი მოსავლიანობით.

ვაზი ამჟამად 31 წლისაა. ასაკის მიხედვით იგი არ შეიძლება ძველი უნიკალური ვაზის გვერდით დავაყენოთ, მაგრამ მისი განვითარება, საოცარი სიღიღის ღერო და ტოტები ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა.

ხეივნის ისტორია 1940 წლიდან იწყება, როდესაც მისი ერთწლიანი დაფესვიანებული რქა დაირგა ღობის ძირში. სამი მეტრი სიმაღლის შტამბი, რომლის გარშემოწერილობა 55 სანტიმეტრია, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის კედელზეა მიყრღნობილი, აღმართულია ფანჯრებამდე და აქედან იწყება მისი განტოტვა.

1950 წელს ვაზი მოყინულა, დაზიანებისაგან გადარჩენილა მხოლოდ შტამბი და მრავალწლიანი ნაწილები, საიდანაც შემ-

დგომში ისეთი მძლავრი ყლორტები განვითარებულა, ზოგი მათგანის სიგრძე 8—9 მეტრს მიუღწევია.

ვაზის ჰორიზონტალურად განვითარებულ ტოტებს 150 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია. მის ნაყოფს სუფრის ყურძნადაც იყენებენ, რომელიც კარგად ინახება გვიან გაზაფხულამდე. შესანახ ყურძენს რამდენიმე დღით აღრე კრეფენ, ვიდრე „რთველი“ დაიწყებოდეს.

გორულა საგვიანო ჯიშია და ოქტომბრის ბოლო რიცხვებში იკრიფება. შესანახი ყურძნის მოკრეფის შემდეგ დარჩენილი მოსავალი ღვინის დასაყენებლად გამოიყენება. ამ ერთი ვაზიდან ღვინოს აყენებენ. ე. ი. შესანახი ყურძნის გარდა 400 ლიტრი ღვინო დგება. 400 ლიტრ ღვინოს ნახევარტონაზე მეტი ყურძენი სჭირდება, თუ ამას შესანახსაც მივუმატებთ, მაშინ მისი მოსავალი საშუალოდ 700 — 750 კგ-ს მაინც შეადგენს. 150 კვადრატულ მეტრზე 700 კგ ყურძენი საკმაოდ მაღალი მოსავალია ფართობის ერთეულზე.

ვაზის ასეთი მაღალი მოსავლიანობა, ამ შემთხვევაში უარყოფითად არ მოქმედებს ნაზარდის სიძლიერეზე და იგი საკმაოდ მსხვილ რქებს ივითარებს, ერთ ურემ ანასხლავს იძლევა. სოფელ შერთულში ვაზის ანასხლავს „ფიჩეს“ ეძახიან, კახეთში — „წალამს“.

ნიადაგის განოყიერება და რწყვა არ წარმოებს. ვაზის მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებებიდან საყურადღებოა გასხვლა და მწვანე ნაწილების ოპერაციები.

მსხვილ ჰორიზონტალურ ტოტებზე კარგად არის განლაგებული სასხლავი რგოლები, რომელზედაც ყოველწლიურად იტოვება ერთი სამამულე და ერთი სანაყოფე რქა. სანაყოფის სიგრძე საგრძნობლად ცვალებადობს მისი განვითარების სიძ-

ლიერისა და მღებარეობის მიხედვით. როდესაც სასხლავ რგო-ლებს შორის თავისუფალი ადგილი დიდია, მაშინ მის მარტომდებარებისა და ძლიერი განვითარების ჩემი ისხვლება შედარებით გრძლად — 14—16 კვირტზე, რათა მასზე განვითარებული ყლორტები განათებისა და ჰაერაციის უკეთეს პირობებში მოხვდეს.

ვაზი ისხვლება თავისუფალი მიღვომის წესით, რომლის დროსაც მთავარი ყურადღება ნაზარდის სიძლიერეს ექცევა და ამის შესაბამისად ცვალებადობს მასზე სანაყოფესა და სამამულეს რაოდენობა.

უნაყოფო ყლორტების შეცლა წარმოებს ყვავილობის დაწყებამდე, რომელსაც საერთოდ მცირე რაოდენობით იგი-თარებს, განსაკუთრებით კი ხეივნის წესით ფორმირებისას. ნამხრევების შეცლა, ყლორტების წვერის წაწყვეტა ან ცის გახსნა მასზე არ წარმოებს. მისი მოვლა საქმაოდ გააღვილებულია ჯიშის მრავალი დადებითი ოვისების გამო.

### ალადასტურის ტალავერი დიხაშხოში

ალადასტური თავისი მაღალი სამეურნეო ოვისებებით და პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლებით საქართველოს უნიკალური ვაზის ჯიშთა ჯგუფს შეიკუთვნება, რადგანაც იგი ერთდროულად უხვმოსავლიანი საღვინე ჯიშიცაა და ამავე დროს საუკეთესო ხარისხის სუფრის ყურძენსაც იძლევა.

წარმოშობით იგი კოლხეთის კერას ეკუთვნის. ჯიშის ბიოლოგიური ოვისებებიდან აღსანიშნავია გარემო პირობებისად-მი კარგი შეგუების უნარი, ძლიერი ზრდა-განვითარება და ხეზე განვითარების განსაკუთრებული მიღრეკილება. საქართველოს ამპელოგრაფიაში ალადასტური აღწერილია პროფ.

ე. რამიშვილის მიერ. იგი აღნიშნავს, რომ წარსულში ჭიშა  
ფართოდ ყოფილა გავრცელებული გურიასა და იმერეთის მთის განაპირა სოფლებში. ვაზი გაშენებული იყო მაღლარად  
საკუთარ ძირზე და მიუხედავად მოუვლელობისა, მან მაინც  
მოგვცა მაღალი და ხარისხიანი მოსავალი.

ვანის რაიონის სოფელი დიხაშხო არცთუ ისე ცნობილია  
ვაზის კულტურის წარმოების მხრივ. მაგრამ აქ ხშირად შეხ-  
ვდებით ალადასტურის ჭიშის ვაზის, რომელიც მოუვლელობის  
მიუხედავად უხვ და მაღალხარისხიან მოსავალს იძლევა.

ხეებზე ასული ბაბილონების გარდა ალადასტური ტალვე-  
რების სახითაც არის წარმოდგენილი ღია მარნების დასაჩრდი-  
ლებლად და საცხოვრებელი სახლის ეზოების დასამშვენებ-  
ლად.

სოფელ ყუმურსა და დიხაშხოში ალადასტურის ძველი ვა-  
ზი ძირითადად მაღალ ხეებზეა, ზოგან კი ერთი ხილან მეორე-  
ზეა გადასული, რომელიც 3—4 წელიწადში ერთხელ ის-  
ხვლება.

საკარმიდამო ნაკვეთებზე და საცხოვრებელი სახლის ეზო-  
ებში არსებული ხეივნებიდან ყურადღებას იპყრობს სოფელ  
დიხაშხოში ისე მამასახლისის მეტად ორიგინალური ხეივა-  
ნი, რომელსაც ჩარდახის ფორმა აქვს. ვაზის მრავალწლიანი  
ტოტებით იგი შემოფარგლულია გვერდებიდანაც. სიმწიფის  
პერიოდში ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ყურძნისა-  
გან გაკეთებული ოთახია.

ვაზი დარგულია 1925 წელს. ორნახევარი მეტრი სიმაღლის  
შტამბის გარშემოწერილობა ნიაღაგის ზედაპირთან 45 სანტი-  
მეტრია, ხოლო განტოტვის აღგილას — 42 სმ. სპეციალური  
დავალებით 1960 წელს აუწონიათ მასზე მოკრეფილი ყურძენი

და 350 კგ გამოსულა. წლების მიხედვით კი ყურძნის მოსავალიანობა 300 — 400 კგ-ის ფარგლებში მერყეობს.

ვაზის მოსავლიანობა დაკავშირებულია დატვირთვის სიძლიერესთან. გასხვლის დროს, როცა მეტი ლერწი რჩება, იმ წელიწადს კარგი მოსავალი მიიღება, მაგრამ მტევნები შედარებით მცირე ზომისაა და ყურძენი კარგად მწიფდება. ცოტა ლერწის დატოვებით ნაყოფი ადრე მწიფდება, შეფერვა უკეთესია, უფრო ინტენსიური და მტევნები უფრო მსხვილი.

დიხაშხოში ეწერი ნიაღაგებია, ურწყავი. ვაზის ზრდის გასაძლიერებლად მისი განოყიერება წარმოებს ნაკელით. ამის გამო ფართობის ერთეულზე მისი მოსავალი მეტად მაღალია. ტალავერს 64 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია და 300 კგ ყურძენი ასეთი მცირე ადგილიდან კარგი მოვლითაა გამოწვეული.

### ვაზის ხეივნის გაზენება და მოვლა

ვაზი ბუნებრივად ძლიერი ზრდის მცენარეა. სათანადო მოვლის შედეგად იგი დიდ ვარჯს ივითარებს და ფართობის ერთეულზე საკმაოდ მაღალ მოსავალს იძლევა.

ხეივნის გაშენებისა და მოვლის ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებანი განსხვავდება დაბალშტამბიანი ვაზის მოვლა-პატრონობისაგან. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნიაღაგის ფიზიკურ თვისებებსა და ქიმიურ შედეგენილობას, პლანტაჟის სილრმეს, ჭიშის ბიოლოგიურ თავისებურებას. სახეივნე ვაზის ჭიში უნდა ხასიათდებოდეს ძლიერი ზრდით, გარდა ამისა, შედარებით ადვილად უნდა ეგუებოდეს გარემო პირობებს და საკმაო გამძლეობას.



იჩენდეს სოკოვანი ავადმყოფობებისა და მავნებლების მიმართ უფლება გაზის ხეივნის გაშენების დროს უპირატესობა აღილობრივ ჯიშებს უნდა მიეცეს.

გაზის ხეივნის გაშენება მიზანშეწონილია როგორც საცხოვრებელი სახლის ეზოებსა და ქუჩის განაპირა გზებზე, ისე დაბლარი ვენახების გარშემო და თარგებს შორის გაყვანილი გზების გასწვრივ, აგრეთვე გზატკეცილებსა და სოფლის ვიწრო გზებზე, ბალებსა და პარკებში, სკოლის ეზოებში და სხვ.

ხეივნის გაშენების დროს მთავარი ყურადღება სარგავი მასალის ხარისხს უნდა მიექცეს, კერძოდ, საძირე და სანამყენე კომპონენტების შერჩევას და ნამყენი ნერგის ზრდა-განვითარებას.

სარგავი მასალის ავტარგიანობასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს სახეივნე ჯიშების შერჩევას. ხეივნის გაშენება უნდა მოხდეს შედარებით ძლიერი ზრდის ჯიშებით, რომლებიც ამავე დროს ხასიათდებიან ლამაზი შესახედაობით და კარგი გემური თვისებების ნაყოფით. სამეურნეო დანიშნულების მიხედვით ხეივანი შეიძლება გავაშენოთ როგორც საღვინე, ისე მაღალხარისხოვანი სუფრის ყურძნის მომცემი ვაზის ჯიშებით.

საქართველოში ვაზის ხეივნის გაშენებისას ძირითადად გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი ჯიშები: თითა ქართული (ქახური და ქართლის), ბუდეშური, ხარისთვალა, გორულა, ანუ გლდანური, სააბი, ჟაფრი, რქაწითელი, განჯური, ალადასტური, ჭვიტლური, თბილისური, ჩინური, კარაბურნუ, ოჯალეში, ტაიფი, თეთრი ოვალური ქიშმიში (უკურკო), ნიმრანგი, კარდინალი და სხვ.

აღნიშნული ჯიშებისათვის საძირებად გამოყენებული უნდა იყოს ბერლანდიერი X რიპარია 420 ა, შასლა X ბერლანდი-

ერთ 41-ბ, ბერლანდიერი X რიპარის 5-ბ. ბ. და რუპესტრონ  
დულო, ანუ მონტიკოლა.

ყურადღება უნდა მიექცეს ხეივნისათვის ნიადაგის შერჩევას და მის მომზადებას. ნიადაგურმა პირობებმა ხელი უნდა შეუწყოს ვაზის გალალებულ ზრდას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხეივნების გაშენების დროს.

ნიადაგი უნდა დამუშავდეს რაც შეიძლება ღრმად. იმისათვის, რომ საპლანტაციები გუთანმა საკმაო სიღრმეზე გადააბრუნოს ნიადაგი, საჭიროა სახეივნე ზოლზე გატარდეს გამაფხვიერებელი „რ—80“, რომელიც გააფხვიერებს 80 სმ სიღრმეზე ბეღტის გადაბრუნების გარეშე. ამის შემდეგ კი საპლანტაციები გუთანი მოხნავს უფრო ღრმად და ხარისხიანად. ამ შემთხვევაში ნიადაგის გადაბრუნება ხდება 70 — 75 სმ სიღრმეზე.

ვიდრე დაპლანტაციდებოდეს, საჭიროა შეტანილი იქნეს ორგანული და მინერალური სასუქები, ზედაპირული მობნევის წესით; ნიადაგის ნაყოფიერების შესაბამისად, ნაკელი 6 — 10 კგ კვადრატულ მეტრზე და მინერალური სასუქები — ფოსფორი და კალიუმი — 0,4 — 0,5 კილოგრამი.

სასუქების შეტანის შემდეგ წარმოებს დაპლანტაციება სპეციალური აგრეგატით, რომლის საუკეთესო ვადად შემოღომა უნდა ჩაითვალოს. ვაზი დაირგვება ადრე გაზაფხულზე, ან შემოღომაზევე.

საკარმილამო ნაკვეთებსა და საცხოვრებელი სახლის ეზოებში ხეივნის გაშენების დროს, როდესაც ნიადაგის დამუშავება ხდება ხელის პლანტაციით, ორი ბარის პირის სიღრმეზე მაინც უნდა გაფხვიერდეს. ხეივნის მოწყობა თუ გარკვეული სიგრძის ზოლზეა გათვალისწინებული, მაშინ ნიადაგის დამუშავება მექანიზებული წესით წარმოებს, ხოლო თუ ადგილ-



მდებარეობა ამის საშუალებას არ იძლევა, ვაზი ირგვება ლით გაკეთებულ პლანტაჟზე. ორმოში დაირგვება დაფენის-ნებული ნამყენი ვაზი 18 — 20 სმ სიგრძის ფესვებით, მოირწყვება და ფხვიერი მიწით გაუკეთდება კოკოლა.

როდესაც რამდენიმე მწკრივიან ხეივანს ვაშენებთ, მაშინ მწკრივებს შორის მანძილი აღგილმდებარეობისა და ხეივნის ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს 4—6—8—10 მეტრი, ხოლო მწკრივში, ანუ ზოლში ვაზებს შორის — 2,0—2,5—3,0—3,5—5,0 მეტრი, ზრდის სიძლიერისა და ჭიშის ბიოლოგიური თავისებურების გათვალისწინებით. კვების არესთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ხეივნის საყრდენის ფორმასა და ტიპს. ვაზის კვების არე საერთოდ მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან აღსანიშნავია ნიაღაგის ნაყოფიერება, მცენარის კვების რეჟიმი, მორწყვის ტექნიკა, ჭიშის ბიოლოგიური თავისებურება, გასხვლა-ფორმირების წესი, აღზრდის სისტემა და სხვ.

ჰუმუსით მდიდარ, კარგი ფიზიკური თვისებების ღრმა ალუვიურ ნიაღაგზე ვაზთა შორის მანძილი როგორც მწკრივში, ისე ზოლებს შორის გაცილებით მეტი უნდა იყოს, ვიდრე მწირ ნიაღაგზე.

თუ გათვალისწინებულია ხეივნის ვერტიკალური კედლის შექმნა, საჭიროა ზოლში დამატებით ვაზი დაირგას სპეციალურად კორდონების გამოსაყვანად, რომელთა ფორმირება მოხდება დაბალ 3—4-წვერიანი მავთულის ვერტიკალურ შპალერზე. ასეთი კორდონების გამოსაყვანად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვაზის სალვინე ჭიშები: ჩქაწითელი, ჩინური, გორული მწვანე, თავკვერი, საფერავი, ცოლიკოური და სხვ.



ვაზის დარგვის შემდეგ კეთდება საყრდენი, რომლის მიზანია მაღლე განისაზღვრება იმის მიხედვით, რომ ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობას ხელი არ შეეშალოს. ამ მიზნით უმჯობესია მისი სიმაღლე იყოს არა უმცირეს 2,5—3,0 მეტრისა, ზოგჯერ მეტი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძლიერ მაღალ საყრდენზე ვაზს უძნელდება განვითარება, განსაკუთრებით ქარიან აღგილებში.

საყრდენად შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა დიამეტრის რკინის მილები, მაგარმერქნიანი ჯიშის ხის ბოძები და მავთული. საყრდენის ზემოთ ეჭყობა თალის მაგვარი რკინის, ან ხის ჰორიზონტალური ჭერი, რომელზედაც დაიჭიმება ვენახის მავთული ერთიმეორისაგან 30—40 სმ დაცილებით. ხეივნის ჭერზე წარმოებს ყლორტებისა და ვაზის მრავალწლიანი ნაწილების განლაგება.

სახეივნე ვაზს თავიდანვე განსაკუთრებული მოვლა ესაჭიროება. ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებების გარდა, რომელიც ითვალისწინებს სანამყენედან გამოტანილი ფესვების შეჭრას, ნიადაგის გაფხვიერებას, სოკოვანი დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას და სხვ. საჭიროა დარგვის პირველ წელს ვაზს შეედგას ჭიგო და მასზე ყლორტის აღზრდა მოხდეს ვერტიკალურად. ნამხრევების შეცლა უნდა ჩატარდეს მათი განვითარების დასაწყისშივე. დადასტურებულია, რომ აგროტექნიკის მაღალი დონე ხელს უწყობს ვაზის ზრდა-განვითარებას, იწვევს საასიმილაციო ფართის გადიდებას და ფესვთა სისტემის უკეთ განვითარებას, რაც საუკეთესო წინაპირობაა დაჩარებითი ფორმირებისა და მსხმოიარობაში ნაადრევად შესვლის. ვაზის მიმართულებითი აღზრდის მეთოდების გამოყენება ხეივნის გაშენების დროს მეტად სასარგებლოა.



მეორე წელს ვაზის სხვლას საფუძვლად უნდა დაედოს შეიძლება განვითარების სიძლიერე და ამის შესაბამისად შეიძლება იგი გაისხლას 2 — 3 კვირტზე, 8 — 10, ან 14 — 15 კვირტზე ინდივიდუალური მიღომის წესით, ძლიერი ვაზი გრძელ სხვლას საჭიროებს, საშუალო და სუსტი — მოკლეს.

დარგვის პირველსა და მეორე წელს ვაზის აღზრდა ისე უნდა წარიმართოს, რომ მესამე წელს შეგვეძლოს შტამბის გამოყვანა ხეივნის მთელ სიმაღლეზე. შტამბის დაყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხეივნის გაშენების დროს. მასზე რაც შეიძლება ნაკლები ჭრილობები უნდა იქნეს მიყენებული და ვერტიკალური მიმართულება მიეცეს. თავიდანვე აღიზარდოს იგი სწორად. ხეივნისათვის უმჯობესია ერთშტამბიანი ვაზის აღზრდა, გამონაკლის შემთხვევაში კი ორშტამბიანი, მრავალ-შტამბიანი ფორმები არ იძლევა სასურველ შედეგს.

ხეივნის ჭერზე აყვანილი შტამბი უნდა განიტოტოს, შეიქმნას მასზე სასხლავი რგოლები და მუდმივი მხრები. ამისათვის საჭიროა გაფურჩნის დროს სათანადო ყურადღება მიექცეს ყლორტების დანორმებას და მათ სივრცეში განლაგებას. მომავალში ეს ყლორტები იქნებიან მუდმივი მხრები, რომლებზედაც განლაგებული იქნება სასხლავი რგოლები.

მსხმოიარობაში შესული ვაზი ისხვლება ორი წესით: მოკლედ, 2—3-კვირტიანი სამამულის დატოვებით და გრძლად — 8 — 10-კვირტიანი სანაყოფის გამოყენებით. სამამულისა და სანაყოფის მდებარეობის შერჩევა და მათი რაოდენობის განსაზღვრა ინდივიდუალურ მიღომას თხოულობს.

საერთოდ უმჯობესია, რომ ხეივნის სხვლას კვალიფიციური მევენახე აწარმოებდეს, რომელსაც ვაზის სხვლის მდიდარი

პრაქტიკული გამოცდილება აქვს და ამავე დროს ჭარბალ  
ფლობს თეორიულ საფუძვლებს.



ხეივნის ჭერზე ყლორტები თანაბრად უნდა იყოს განაწი-  
ლებული მთელ ფართობზე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს,  
ფოთლებმა რომ მზის სხივადი ენერგია მაქსიმალურად გამოი-  
ყენოს, რაც გამოხატულებას პოულობს მოსავლის რაოდენო-  
ბასა და ხარისხში.

ხეივნის გაფურჩხნა უნდა ჩატარდეს ყვავილობის დაწყე-  
ბამდე. ვაზს მოსცილდება უნაყოფო სუსტი ყლორტები. უნა-  
ყოფო ყლორტი დაიტოვება იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოყე-  
ნება მომავალში გათვალისწინებულია სასხლავი რგოლის გა-  
მოსაყვანად, თავისუფალი ადგილის შესავსებად, ან მუღმივი  
მხრის გასაგრძელებლად. ამ ღონისძიების ჩატარებით უმჯობე-  
სია თითოეული ყლორტისა და ფოთლისათვის ჰაერაციის პი-  
რობები.

სოკოვანი დაავადებების, ჭრაქისა და ნაცრის თავიდან აცი-  
ლების მიზნით საჭიროა ჩატარდეს ბორდოს სითხის შესხურე-  
ბა 5 — 6-ჯერ ვეგეტაციის პერიოდში, ხოლო გოგირდის —  
2 — 3-ჯერ.

## ვაზის ზრდა-განვითარების ბიოლოგიური თავისებურებანი

კულტურულ მცენარეთა მოვლის რაციონალური ღონის-  
ძიებებისა და მათი მოსავლიანობის გადიდების პროგრესული  
მეთოდების გამომუშავება შეუძლებელია მცენარის ბიოლო-  
გიურ თავისებურებათა საფუძვლიანი ცოდნის გარეშე. მეც-  
ნიერების განვითარების თანამედროვე მიღწევების საფუძველ-



ზე ნათელი გახდა, რომ ყოველი ორგანიზმის „ზრდა-გუბრეშის“ ჩატარების თავისებურებათა ბიოლოგიური არსი მოცემულია თვით მის გენიალოგიაში, ე. ი. ინდივიდის წარმოშობისა და მისი განვითარების ისტორიულ პროცესში.

ვაზის ბუნების ჩამოყალიბებასა და მის წარმოშობასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა პროფესორ პ. ბარანვის ჰიპოთეზა, რომელიც დღეს ყველაზე პოპულარულია და საერთოდ აღიარებულია როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი მკვლევარების მიერ.

აღნიშნული ჰიპოთეზის მიხედვით ვაზის წინაპრებს პწყლები არ ჰქონდა, პატარა ბუჩქნარი მცენარე იყო, რომელიც ღია მზიან ადგილებში იზრდებოდა. ეოცენის შემდეგ კი ჩვენი პლანეტის კლიმატი საგრძნობლად შეიცვალა და ვაზი ტყის გარემოში მოექცა, რომელსაც ვერ შეეგუა სინათლის მოყვარული მცენარის ბუნება და საჭირო გახდა ტყის ჩრდილისაგან თავის დაღწევა. ამასთან ერთად, გაუარესდა რა ვაზის კვების პირობები, ყვავილედმა განიცადა გადაგვარება და იგი პწყლად გარდაიქმნა.

ამ გარემოებამ ერთგვარად ხელი შეუწყო ვაზის ბუჩქისებური ფორმის ლიანად (მხოხავ მცენარედ) გადაქცევის პროცესს, რადგანაც პწყალს ჰაპტოტროპიზმის საფუძველზე გრეხვის უნარი განუვითარდა. ამის საშუალებით ვაზმა თავი დააღწია ჩრდილის გარემოს და ღია სინათლეზე „ტყის ჭერზე“ გამოვიდა. ამ პროცესში ვაზმა განივითარა ფართო საასიმილაციო ზედაპირი და მძლავრი ფესვთა სისტემა. ასე გარდაიქმნა ბუჩქისებური მცენარე ლიანად, რომლის დროსაც მან დიდი მორფოლოგიური და ანატომიური ცვლილებები განიცადა.

ვაზის განვითარება ზუსტად ასეთი გზით წარიმართა, თუ



სხვა მიმართულებით, ამის მტკიცება ამჟამად გაძნელებულებულია სათანადო მასალების უქონლობის გამო. მაგრამ ერთი რაზეც ფაქტია, რომ აღნიშნული პიპოთება ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. იგი განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ვაზის ბიოლოგიური ოვისებების შესწავლის დროს. საყურადღებოა აგრეთვე მორფოგენეზისა და ორგანოგენეზის ზოგიერთი საღავო საკითხის გადაწყვეტისას და სხვ.

ვაზის აღზრდისა და ფორმირების რაციონალური წესების შემუშავება, სხვლის საუკეთესო წესების დადგენა, მწვანე ნაწილების სივრცეში განლაგება და სხვა სახის აგროტექნიკური ღონისძიებანი ასეთი კუთხით უნდა იქნეს გაშუქებული. აღნიშნული ღონისძიებების დახვეწისა და დაზუსტების დროს ჯიშის ბიოლოგიურ თვისებებს და რაიონის ექოლოგიურ პირობებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვაზის ზრდის სიძლიერე, მისი მოთხოვნილება სინათლის მიმართ, წლიური ნაზარდის სიგრძე და სხვა თვისებები, ჩვენი წინაპრების მიერ ძველთაგანვე კარგად ყოფილა გამოყენებული. მევენახეობის თითოეული ზონისათვის ჯიშების გონივრულ შერჩევასა და შეთანაწყობასთან ერთად სათანადო ყურადღება ექცეოდა ვაზის აღზრდისა და ფორმირების წესებს. აღნიშნული საკითხის მიმართ დიფერენცირებული მიღვომის შედეგად ჩამოყალიბდა აღზრდის სხვადასხვა სისტემა — მაღლარი, ოლიხნარი, დაბლარი და მათ შორის გარდამავალი ფორმები.

დასავლეთ საქართველოს ჭარბტენიან რაიონებში მაღლარი ვენახების, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი ჰავის პირობებში დაბლარის ინტენსიური განვითარება შემთხვევით მოვლენად არ შეიძლება ჩაითვალოს, იგი ხანგრძლი-

ვი დაკვირვებისა და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებების  
შედეგია.

მაღლარი ვენახები ფართოდ ყოფილა გავრცელებული სა-  
ქართველოში. საგულისხმოა, რომ ხეებზე ასული გოლიათი  
ვაზი თავისი ზრდა-განვითარებითა და მოსავლიანობით ძველ-  
თაგანვე იპყრობდა ისტორიკოსების, მოგზაურების, ბოტანი-  
კოსების და სხვათა ყურადღებას. სტრაბონს თავის გეოგრაფი-  
აში საქართველოზე ნათქვამი აქვს, ვაზი იმდენ მოსავალს იძ-  
ლევა, რომ ყურძნის დიდი ნაწილი ხის ტოტებზე დაუკრეფავი  
რჩებაო.

გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში ასეთი ტიპის ვენახები  
გასული საუკუნის ბოლომდე კიდევ საკმაო რაოდენობით იყო  
შემორჩენილი. „ვენახები გურიაში ძლიერ ბევრია — აღნიშნუ-  
ლია „ბუნების კარში“, — რაც აღგილი ტყით არ არის დაფენი-  
ლი, უფრო დიდი ნაწილი ვენახებს უჭირავს. ვენახები აქ სულ  
მაღლარია, ვაზები მაღალს ხეებზეა გაბმულ-გამობმული. ვა-  
ზებს მოვლა სრულებით არა აქვს, მაგრამ მაინც ზოგიერთს აღ-  
გილებში ჩინებული ღვინო დგება. უკანასკნელს დროს ვაზის  
სნეულებამ ღვინის მოსავალი ძლიერ შეამცირა“.

მაღლარების სიუხვით და მოსავლიანობით განცვიფრებული  
ი. გოგებაშვილი სამეგრელოზე წერს: „მთელი სამეგრელო მო-  
ფენილია ბადესავით გაბმულ-გამობმული ვაზებით, რომელიც  
ერთი ხედგან მეორე ხეზეა გადასული, ან მაღლაა ასული. ჰაე-  
რის გადამეტებული სინესტის გამო აქაური ღვინო თხელი,  
უღონო და წყლიანია. აქ ხშირად ნახავთ ასი წლის ვაზს, რო-  
მელსაც მეოთხედი ადლი სისქე აქვს. ხნიერი და საღი ვაზი  
კარგი მოსავლის დროს იმდენს ყურძნეს ისხამს, რომ სამი მეგ-  
რულ კოკა ღვინოს მისცემს თავის ჰატრონს. სამეგრელოში

რთველი ძალიან გვიან იციან: გიორგობისთვეზე ადრე აქ კუთხაშვილი მის არა პკრეფენი. რამდენადაც გვიან იკრიფება ყურძენი, ჩე-დენად უფრო კარგ ღვინოს აყენებს. ოჯალეშის ვენახები ქრისტეშობისთვის გასულს იკრიფება. ხანდახან თოვლი მოუს-წრებს ხოლმე, მაგრამ ვერაფერს ავნებს. ვაზის ავადმყოფობამ მეტად აზარალა სამეგრელო. ღვინო გაძირდა“.

აღმოსავლეთ საქართველოში ჰავისა და გარემო პირობების თავისებურებათა შესაბამისად, აქ ძირითადად დაბლარმა ვენახებმა მოიყიდა ფეხი. ასეთი აზრია გამეფებული ამჟამად მკვლევართა შორის. ჩევნი ქვეყნის ავბედობით გამოწვეული მიზეზების გამო, სპეციალური ლიტერატურული წყაროების უქონლობა საშუალებას არ იძლევა სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ვაზის ფორმათა ევოლუციის და ძველი ქართული ვენახის არსებულ ტიპებზე. ამასთან დაკავშირებით, ჭერ კიდევ ბევრი რამ შესასწავლი და დასაზუსტებელია, მაგრამ ზოგიერთი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში დაბლართან ერთად მაღლარი ვენახებიც ყოფილა, რომელთა არსებობა გასული საუკუნის ბოლო წლებამდე გაგრძელებულა. ირკვევა აგრეთვე, რომ ქართლ-კახეთსა და მესხეთში უხვად ყოფილა განსაკუთრებული სიღიძის გოლიათი ვაზი, რომელიც საყურადღებო ყოფილა როგორც ზრდის სიძლიერით, ისე ყურძნის მოსავლის რაოდენობით.

კახეთში ვაზის კულტურის წარმოების ძველ წესებზე საინტერესო ცნობებს ვხვდებით ლ. ჯორჯაძის წიგნში, რომელიც 1876 წელს გამოქვეყნდა. საკითხის შესწავლა და წიგნისათვის მასალების შეგროვება კი ავტორს 1865 წლიდან დაუშეყია. ეს პირველი საფუძვლიანი ნაშრომია მშობლიურ ენაზე, სადაც დეტალურადა განხილული ვაზის მოვლა-პატრონობის და ღვი-



ნის დაყენების ხალხში გავრცელებული იმდროინდელთა წელი  
სები.

ძველი ხალხური მევენახეობის ერთ-ერთი თავისებურება იმაში გამოიხატებოდა, რომ ნარგაობის სიხშირის გამო, ფართობის ერთეულზე დიდი მოსავალი მოდიოდა, სამაგიეროდ ღვინო შედარებით მდარე, ნაკლებსხეულიანი, დაბალი ღირსების დგებოდა. ღვინის ხარისხის დაცემა ორი მიზეზით ყოფილა გამოწვეული: ერთი, ვენახში დარგული ხეხილის დაჩრდილვით, ხოლო მეორე, ხეებზე აშვებული ვაზიდან მიღებული ღიდი მოსავლით.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ვაზის ზრდის სიძლიერესა და მოსავლიანობასთან ერთად ყურადღება ექცეოდა მის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, მცენარის სიცოცხლის ხანგრძლივობას და მასზე მოქმედ აგროტექნიკურ ღონისძიებებს.

ზემოაღნიშნული ფაქტები მრავალმხრივაა საყურადღებო. ირკვევა, რომ ვაზის სინათლის მოყვარული ბუნება და მისი ზრდის სიძლიერე, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში კარგად იყო გამოყენებული ქართველი მეურნის მიერ. თითოეული ძირიდან გვხვდება როგორც ყურძნის კოლოსალური მოსავლის სანიმუშო ფაქტები, ისე, მის გვერდით წარმოდგენილი ძველი ქართული ვენახი, სამაგალითოდ შერჩეული და შეთანაწყობილი ჯიშებით. მაღლარ ვენახებთან ერთად ვითარდებოდა დაბლარიც. ვაზმა თავისი განვითარების ყველა საფეხური უკლებლივ განვლო საქართველოში. მაღლი სამეურნეო თვისებების მქონე ჯიშების ენდემურ ჯგუფებად ჩამოყალიბებისას, აგროტექნიკის საკითხებიც იხვეწებოდა და ზუსტდებოდა გარემო პირობების შესაბამისად.

## გ ი ნ ა რ ს ი

ვაზის კულტურა საქართველოში	3
ვაზის სიცოცხლის ხანგრძლივობა და მსხმოიარობა	6
ვაზის გიგანტი	8
გოლიათი შავთითა	19
გადაბერებული ვაზი ბოლბეში	24
ქართული თითა	26
გორულას ხეივანი შერთულში	30
ალადასტურის ხეივანი დიხაშხოში	34
ვაზის ხეივნის გაშენება და მოვლა	36
ვაზის ზრდა-განვითარების ბიოლოგიური თავისებურებანი	42

---

რედაქტორი ე. ტრიპოლსკი  
 მხატვრული რედაქტორი ნ. ოქრუაშვილი  
 ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა  
 კორექტორი ლ. გულიაშვილი  
 გამომუები ლ. იამანიძე

გადაეცა წარმოებას 22/III-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/V-73 წ.  
 ქალალდის ზომა  $70 \times 1081/32$ , პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 2.1.  
 სააღ. - საგამომც. თაბაზი 1.68.  
 უ 01420. ტირაჟი 2000. შეკვ. № 280.  
 ფასი 8 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
 თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამსახუმის  
 მთავარმომისადმი 4.

Тбилисская типография № 4 Главполиграфпрома Госкомиздата  
 Совета Министров Грузинской ССР по печати.

230/276

